ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2489804

ნომერი: AR1386413

თარიღი : 15.03.2016

გაცემის თარიღი : 18.03.2016

გაცნობის თარიღი : 18.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 9/11 , ქუჩა საადი N2, (ნაკვეთი N64/41) / ქალაქი თბილისი , სამღებროს ქ. N9/11, საადისქ. N2 , ნაკვ. N64/41-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გურეშიძე პ/ნ 01024012484
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 37

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 904428
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.09.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18/11/2015 წლის ბ-54780/12 ბრძანების მიხედვით კიბე და შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს; დანადგარები და საკომუნიკაციო მოწყობილობები განთავსებულია საკადასტრო საზღვრებს გარეთ, სახურავზე მოწყობილია ჩილერები, დამატებით მოწყობილია მომიჯნავედ არსებული შენობის გადახურვასთან დაკავშირებული ლითონის კონსტრუქცია. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი იქნეს:
1. გენგეგმა საკადასტრო საზღვრების (წითელი ხაზები) მშენებლობადასრულებული ობიექტის, ჩილერების ჩვენებით;

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ და შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა მომიჯნავედ არსებული შენობის გადახურვასთან დაკავშირებული ლითონის კონსტრუქციის მოწყობის თაობაზე;
3. თქვენს მიერ წარმოადგენილ სიტუაციურ გეგმის მიხედვით წყლის გამაცხელებელი ავზები და მრიცხველი ნაჩვენებია საკადასტრო საზღვრებს გარეთ, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა წყლის გამაცხელებელი ავზებისა და მრიცხველების განთავსებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოტხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.